



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ანდიური ენები

ანდიური ენები, ახლომონათესავე ენები. შედის იბერიულ-კავკ. ენების დად. ენათა ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში. მოიცავს ანდიურ, ბოთლიხურ, ლოდობერიულ, ჭამალალურ, ტინდიურ, ბაგვალალურ, კარატაულ, ახვახურ ენებს. გავრცელებულია დაღესტნის მთიანეთის დას. ნაწილში, ძირითადად მდ. ანდის ყოისუს ხეობაში, ბოთლიხის, წუმადისა და ახვახის რ-ნებში. ა. ე-თვის დამახასიათებელია თანხმოვანთა სიმდიდრე, გრამატ. კლასების არსებობა, ბრუნვათა სიმრავლე. გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის. ნიშანდობლივია ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია. ა. ე. უმწერლობო ენებია. სამწერლობო ენად გამოყენებულია მონათესავე ხუნძური ენა.

ლიტ.: გ უ დ ა ვ ა ტ., ბოთლიხური ენა, თბ., 1962 (კანზე - 1963); მ ი ს ი ვ ე , ბაგვალური ენა (გრამატიკული ანალიზი და ტექსტები), თბ., 1971; ც ე რ ც ვ ა ძ ე ი., ანდიური ენა (გრამატიკული ანალიზი ტექსტებით), თბ., 1965; Б о к а р е в А. А., Очерк грамматики чамалинского языка, М.-Л., 1949; Г у д а в а Т. Е., Сравнительный анализ глагольных основ в анарском и андийских языках, Махачкала, 1959; მ ი ს ი ვ ე , Консонантизм андийских языков, Тб., 1964; მ ი ს ი ვ ე , Годоберинский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Д и р р А. М., Краткий грамматический очерк андийского языка, Тфл., 1906; მ ი ს ი ვ ე , Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы, «Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа», 1909, в. 40; М а г о м е д б е к о в а З. М., Ахвахский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; მ ი ს ი ვ ე , Каратинский язык, Тб., 1971; С а и д о ვ ა П. А., Годоберинский язык, Махачкала, 1973; Ц е р ц в ა დ з ე И. И., Андийский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967.

ტ. გუდავა

მ. მაჭომედიძე

---